ცვლილებები ძალაშია 18.02.2021-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ დამატებით სახელშეკრულებო პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:**

1. შეიცვალოს დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-2 მუხლის 2.1, 2.2, 2.4 და მე-4 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დაამუშავოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის, ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, აგრეთვე საგადასახადო კონსულტანტებისთვის, აუდიტორებისთვის, იურიდიული მრჩევლებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის და სხვადასხვა მომსახურების გამწევი მესამე პირებისათვის, მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტთან არსებობს სახელშეკრულებო/წინასახელშეკრულებო ურთიერთობა;
- კლიენტისთვის ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების გაწევა;
- კლიენტის განცხადების გარეშე, ბანკის მიერ, ცალმხრივად, კლიენტისთვის საბანკო/საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება;
- კლიენტის მიმდინარე საკრედიტო პროდუქტების მონიტორინგი და კლიენტის გადამხდელუნარიანობის გადამოწმება;
- ბანკის მიზნებისათვის სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება/კონსულტირება საგადასახადო და იურიდიულ საკითხებში/აუდიტი;
- ბანკის დამფუძნებელთან ანგარიშგება;
- საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება;
- პირდაპირი მარკეტინგი;
- სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;
- ინფორმაციის დამუშავება საჭიროა ბანკისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2.2. კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ვადით.

2.4. კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა; კლიენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია მის შესახებ

დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე; კლიენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4. კლიენტისთვის ცნობილია და თანხმობას აცხადებს, რომ სს „პროკრედიტ ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე მუხლში მითითებული მიზნებითა და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს და დაამუშაოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.“